

## აღს სისაკი: 15 წელი მთავარი მოთამაშე სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში

"რეფორმები, რომლებსაც ხორვატიის მთავრობა დაასრულებს მომავალი 12 თვის პერიოდში და რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის ევროპასთან თანხვედრას 2013 წელს უნდა იყოს გაზიარებული სამოქალაქო საზოგადოებასთან და ევროპული ინსტიტუტები გააგრძელებენ სიტუაციის მონიტორინგს რაც აუცილებელია პროცესის წარმატებით დაგვირგვინებისათვის." აღნიშნა ევროკავშირის დელეგაციის თავმჯდომარემ ელჩმა პოლ ვანდორენმა, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო სისაკის დაფუძნებიდან 15 წლისთავის ცერემონიაზე.

ელჩმა ვანდორენმა დადებითად შეაფასა სააგენტოს მუშაობა ამ რთული წლების განმაცდობაში და აღნიშნა აქტიური თანამშრომლობა ადგილობრივი ხელისუფლებასთან, რამაც შესაძლებელი გახადა ქალაქ სისაკის დაჯილდოვება (12 ვარსკვლავის ემბლემით) რომელიც ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობების კონგრესის მიერ იქნა მინიჭებული ქალაქ სისაკში ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებისათვის.

"მაგრამ დიალოგი რომელიც დღესდღეობით არსებობს, განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე, გაამახვილა ყურადღება ევროკავშირის დელეგაციის თავმჯდომარემ, უნდა მოიცავდეს პარტნიორობას რაც იქნება სოციალური ერთობისა და პასუხისმგებლობის გადანაწილების საწინდარი. ჩვენთვის ცნობილია რომ ხორვატიის მთავრობამ ახალი კანონები შემოიღო და შეცვალა კონსტიტუცია რათა ევროპულ ერთობაში შესვლის შესაძლებლობა არ გაეშვა ხელიდან, მაგრამ ხრიშად სამოქალაქო საზოგადოება არ არის საქმის კურსში ჩაყენებული რაც ხორვატიის მთავრობამ უნდა გამოასწოროს."

ეს დაფიქსირებული პოზიცია არ არის სიურპრიზი როგორც ასეთი. ცნობილია, რომ ზაგრების 2013 წლის ევროკავშირში წევრობის წინაპირობად არის ამ უკანასკნელის მეთვალყურეობა რეფორმების საკითხში რომელიც ქვეყნის მთავრობამ უნდა განახორციელოს როგორც ეს ევროპამ მოითხოვა.

ეჭვიც არ შეიძლება შევიტანოთ იმ ფაქტში რომ ხორვატიის მომავალი წევრობა დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების ევროპისკენ მისწრაფების ისტორიაში ახალ თავს გახსნის და მიუხედავად "ევრო სკეპტიციზმისა" და "ევრო რეალიზმის", როგორც ამას ზოგიერთი უძახის, ძალიან დიდი მოლოდინი არსებობს ამ პროცესის წარმატებით დასრულებაში, განსაკუთრებით ხორვატიის მოსახლეობაში.

პროგრესი რომელიც ხორვატიამ განახორციელა არის აშკარა. სისაკი, ხორვატიის მეათე ქალაქი, სისაკ-მოსლაგინას მხარის დედაქალაქი და ბოსნია და ჰერცეგოვინას მოსაზღვრე ქალაქი, რომლის მოსახლეობაც 55 000ს აღემატება მიღწეული პროგრესის მაგალითია, რომლის ამჟამინდელი სახე განსხვავდება 15 წლის წინანდელისგან როდესაც სააგენტო დაარსდა.

კონფლიქტის დამანგრეველი შედეგები, განსაკუთრებით საგრძნობია სლავონიას საზღვართან სადაც სერბეთის ჯარმა კრაინას რესპუბლიკა დაარსა და ბოსნიასთან, შორეულ მოგონებად არის ქცეული და მშვიდობისა და დემოკრატიზაციისაკენ პროცესმა ოპტიმუმს მიაღწია.

"მე ვამაყობ ამ სააგენტოს წარმატებით - ხაზი გაუსვა ცერემონიაზე სისაკის მერმა დინკო პინტარიკმა - და ჩვენი ქალაქისათვის "12 ვარსკვლავის ემბლემის" მინიჭება, მიუხედავად ჩვენი ევროპული დემოკრატიისადმი გადადგმულ მცირე ნაბიჯისა, ეს ჩვენი ქალაქისთვის უდიდესი მიღწევაა."

4 ნოემბრის სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ოფიციალურ ცერემონიაზე სააგენტოების ასოციაციისა და ქალაქის კონგრესის თანამშრომლობით ესწრებოდნენ კონგრესის წევრი და ქალაქ პედასოს (იტალია) ვიცე-მერი - ბარბარა ტონე, ბელგიის ელჩი ხორვატიაში ქალბატონი ნენსი როსინიოლი, ხორვატიაში ნორვეგიის ელჩი ჰენრიკ ოფსტადი, სააგენტოების ასოციაციის პრეზიდენტი პერ ვინტერი და აღმასრულებელი დირექტორი და ანტონელა ვალმორბიდა, აგრეთვე ვენეტოს რეგიონის საბჭოს წევრი დიეგო ბოტაჩინი.

"სისაკის სააგენტოს 15 წლიანი არსებობის მანძილზე ასზე მეტი პროექტი იყო შემუშავებული და განხორციელებული. 15 ათასზე მეტი ადამიანი იყო ჩართული ამ პროექტების განხორციელებაში, რამაც ხელი შეუწყო სააგენტოს დამკვიდრებას როგორც სამოქალაქო საზოგადოების ერთერთი ძირითადი მოთამაშე ქალაქისა და სისაკ მოსლავინას მხარეში დემოკრატიის განვითარების კუთხით" წარმოთქვა სააგენტოს პრეზიდენტმა პაულა რაუჟანმა.

"ხორვატიის 2013 წელს ევროკავშირში მიღების შემდეგ ამ ქვეყანაში არსებულ სააგენტოებს აღარ ექნება იგივე სტრუქტურა რაც ამჟამად აქვთ, არამედ მათ ექნებათ ახალი ფუნქცია - თქვა ანტონელა ვალმორბიდა, სააგენტოების ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა. გამოცდილება რა თქმა უნდა იქნება მნიშვნელოვანი ადგილობრივი დემოკრატიის ევროპული ღირებულებების შემდგომი ზრდისა და განვითარების კუთხით."